

## სტუდენტთა გაერთიანების სხდომა

2019 წლის 25 ოქტომბერს გაიმართა ბათუმის სამედიცინო აკადემიის სტუდენტთა გაერთიანების სხდომა.

**ესწრებოდნენ:** რევაზ უზუნაძე - აკადემიის დირექტორი, სოფიო ბრუნჯაძე - სტუდენტთა გაერთიანების მეცნიერ-ხელმძღვანელი, მზია ბაკურიძე - სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, გაერთიანების წევრი სტუდენტები - გალინა ასამბაძე - გაერთიანების ლიდერი, ლანა ბაბუხაძია, მეგი ჯანგველაძე, ლინდა სელიმბა, ინგა ბერიძე, სოფიო გოგაძე, ქეთევან უზუნაძე, დიანა გობაძე.

განიხილეს საკითხი „სტუდენტთა გაერთიანების 2018-2019 ს/წლის მუშაობის შედეგები და 2019-2020 ს/წლის სამოქმედო გეგმა“.

დღის წესრიგის საკითხზე ვრცელი ინფორმაციით გამოვიდა გაერთიანების ლიდერი გალინა ასამბაძე, - საკითხზე ისაუბრა გაერთიანების მეცნიერ-ხელმძღვანელმა სოფიო ბრუნჯაძემ. მოწონებული იქნა განვლილ პერიოდში სტუდენტთა გაერთიანების მიერ გაწეული მუშაობა. დაამტკიცეს სტუდ. გაერთიანების მიმდინარე ს/წლის სამუშაო გეგმა. აღინიშნა, რომ სტუდენტთა წახალისების და მოტივაციის ასამაღლებლად შემოღებული იქნება ნომინაციები: „წლის საუკეთესო სტუდენტი“, „წლის საუკეთესო ჯგუფი“, წარმატებული სტუდენტები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით, მიენიჭებათ „წლის საუკეთესო სტუდენტის“ წოდება და გადაეცემათ დიპლომი. მათთვის მოეწყობა ექსკურსია. გამახვილდა ყურადღება სტუდენტთა გაერთიანების აქტიურ ჩართულობაზე სტუდენტთა საშემსრულებლო დისციპლინის ასამაღლებლად.